პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 ოქტომბერი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 194 (10 118) ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ქუთაისის „აია“ რაგბიში სსრ კავშირის 1989 წლის ჩემპიონია!

ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც გუშინ ქუთაისში „აიამ“ დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივის“ მორაგბეთა გუნდი. ქუთაისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 14:10 და ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდეს ქვეყნის ჩემპიონობა. ეს „აიას“ ზედიზედ მეხამე გამარჯვებაა საკავშირო ჩემპიონატებში.

ვულოცავთ!

## გამარჯვება ოსტატობის საზომია

ამჟამად სპორტის თითქმის ყველა სახეობაში ტარდება საკავშირო შეჯიბრებები უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებს შორის. დასახელება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს საკმაოდ მაღალი რანგის ტურნირებია.

სამბისტებმა მოსკოვში იასპარეზეს, სადაც საქართველოს ნაკრების სამი ფალავანი გახდა ჩემპიონი. გამარჯვებები იზეიმეს დუშელმა გია ნაცვლიშვილმა (68 კგ), თბილისელმა გურამ ქარჩაიძემ (82 კგ) და ჩაგარეჯოელმა კობა კუპატაძემ (100 კგ). ჩვენი გუნდი კი მესამე ადგილზე გავიდა.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## მორიგი მატჩები

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

თბილისი. კიროვის სახ. პარკის ბავშვთა კალათბურთის სახახლე. 4 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 76:98 (31:48).

**თბილისი:** კოლიჩევი (16), სანაძე (15), შენგელია (13), უსტიაშვილი (10), კორძაძე (7), ტალაბაძე (5), დაუშვილი (4), ფერიაშვილი (3), ვაშაკიძე (3).

**მოსკოვი:** შაკულინი (16), ბაზარევიჩი (16), გრიშაევი (14), გადაშევი (14), სუხარევი (12), კარნიშინი (10), ანტიპოვი (6), ტრუშინი (4), სიზოვი (4), ოხოტნიკოვი (1), იურტაევი (1).

მსაჯები: ბორის ცარიკოვი (გომელი) და ალექსანდრე ბაბუშკინი (ხარკოვი).

• • •

თბილისი. კიროვის სახ. პარკის ბავშვთა კალათბურთის სახახლე. 5 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) „დინამო“ (მოსკოვი) 92:91 (46:44).

**თბილისი:** სანაძე (27), შენგელია (21), ტალაბაძე (15), კროპაჩოვი (12), უსტიაშვილი (9), ფერიაშვილი (5), კოლიჩევი (3), ვაშაკიძე.

**მოსკოვი:** კარნიშინი (21), სიზოვი (16), გადაშევი (15), ოხოტნიკოვი (12), შაკულინი (8), ანტიპოვი (7), იურტაევი (7), სუხარევი (3), ტრუშინი (2).

მსაჯები: ბორის ცარიკოვი (გომელი) და ალექსანდრე ბაბუშკინი (ხარკოვი).


ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

**რიგა.** ადგილობრივმა ვეფ-მა და ტალინის „კალევმა“ ქულები თანაბრად გაიყვეს — 67:70 და 80:77.

**ლენინგრადი.** ადგილობრივმა „სპარტაკმა“ ორივე მატჩი მოუგო დონეცკის „შახტიორს“ 97:87 და 92:75.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „კალევი“ (ტალინი) | 6 | 5 | 1 | 11 |
| ვეფ (რიგა) | 6 | 3 | 3 | 9 |
| ცსკა | 4 | 4 | 0 | 8 |
| „შახტიორი“ (დონ.) | 6 | 2 | 4 | 8 |
| „ბუდიველნიკი“ (კ.) | 4 | 3 | 1 | 7 |
| „ჟალგირისი“ (კაუნ.) | 4 | 3 | 1 | 7 |
| „დინამო“ (თბილისი) | 6 | 1 | 5 | 7 |
| რტი (მინსკი) | 4 | 2 | 2 | 6 |
| „სპარტაკი“ (ლენინგ.) | 4 | 2 | 2 | 6 |
| ასკ (ალმა-ათა) | 4 | 1 | 3 | 5 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 4 | 1 | 3 | 5 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 4 | 1 | 3 | 5 |

## ალექსანდრე ჩივაძე შპირს და... პროტესტს აცხადებს

**6 ოქტომბერს** გაზეთ „სოვეტსკი სპორტში“ სათაურით „გზა დანაღმულ მინდორზე“ დაიბეჭდა საუბარი საბჭოთა სპორტსმენების უცხოეთში „გაყიდვის“ გზების შესახებ. „მრგვალი მაგიდის“ ერთ-ერთმა მონაწილემ, „სოვინტერსპორტის“ გენერალურმა დირექტორმა ვ. გალაევმა საუბრისას კერძოდ განაცხადა შემდეგი: „მე ახლახანს შევიტყვე, რომ თბილისელებს საარაკოდ დაბალ ფასებში გაუყიდიათ დინამოელები სვანაძე და ჩივაძე, აგრეთვე, ქუთაისის „ტორპედოს“ მოთამაშე მეგრელაძე. ერთ-ერთ შვედურ გაზეთში გაჩნდა მასალა სათაურით „იაფი რუსი საფეხბურთო ვარსკვლავები — გასაყიდად“. ჩვენ შეგვერცხვებოდა ასეთ ფასად კონტრაქტის დადება“.

იმავე დღეს რედაქციაში გვეწვია ალექსანდრე ჩივაძე. იგი უაღრესად გაკვირვებული იყო იმით, რაც გაზეთში საკუთარ თავზე ამოიკითხა ამგვარი რამ. რადგანაც ამაზე მსგავსი არაფერი გაეგონა, ასეთი კონტრაქტის დადებაზე არსად, არავისთან კრინტიც კი არ დაძრულა. ერთი სიტყვით, არავინ იცის, საიდან გაჩნდა ეს ჭორი, ალექსანდრე ჩივაძემ განაცხადა, რომ ის არც „საარაკოდ დაბალ ფასად“ და არც საერთოდ რაიმე ფასად აპირებს უცხოეთში წასვლას.

საიდან ასეთი „უტყუარი“ ცნობები ბატონო „სოვინტერსპორტის“ გენერალურო დირექტორო?

## აზიის თასზე

ამ კონტინენტის თასის გათამაშება ბილიარდში წლეულს პირველად გაიმართა და როგორც გამოცხადდა, ტრადიციული ტურნირი გახდება. შეჯიბრება „ღია“ გახლდათ, რითაც კარგად ისარგებლა მოსკოველმა იური პანტელეევმა და უძლიერესის სახელი მოიპოვა. მან ფინალში ანგარიშით 3:1 დაამარცხა სოჭელი გურამ მამულაძე. ტურნირის პროგრამაში ე. წ. „რუსული პირამიდა“ იყო.

აზიის თასი კი მხოლოდ აზიელი სპორტსმენისთვის იყო დაწესებული. იგი დაისაკუთრა ტაშკენტელმა სულტან მარიფხოჯაევმა, რომელიც საერთო ჩათვლაში IV ადგილზე გავიდა.

ამ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს საუკეთესო მოთამაშეებიც.

### სსრ კავშირის ქალთა პირველობა კალათბურთში ● I ლიგა

**სასიამოვნო** ცნობა მივიღეთ რიგიდან, სადაც I ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების 57-ე საკავშირო პირველობის სტარტზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ორივე შეხვედრა მოუგო მასპინძლებს — ტტტ-ს კალათბურთელებს. პირველი შეხვედრა ჩვენმა გოგოებმა მოიგეს ანგარიშით 70:67, ხოლო მეორეში მინიმალური ანგარიშით სძლიეს მეტოქეს — 61:60.

## სასარგებლო ვიზიტები

**კრივის** ყველა მოყვარულმა იცის, რომ ამ დღეებში მოსკოვი მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობდა. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის (აიბა) პრეზიდენტი პაკისტანელი ანვარ ჩაუდრი თბილისსაც ესტუმრა მეუღლესთან ერთად. ამ ვიზიტის მოწყობაში დიდი როლი შეასრულა მოსკოვში შარშან შექმნილმა საკავშირო კოოპერაციულმა ბანკმა (მისი პრეზიდენტი გახლავთ ანზორ კიკალიშვილი), რომელიც სპორტული და მუსიკალური ფირმების მოწყობას თაოსნობს. მას „XXI საუკუნე“ ჰქვია.

პრეზიდენტს მოსკოვში იგივე თხოვნით მიმართეს საქართველოს სპორტსახკომისა და კრივის რესპუბლიკური ფედერაციის წარმომადგენლებმაც.

მართალია, აიბა-ს პრეზიდენტი საქართველოს არაოფიციალური ვიზიტით ეწვია, მაგრამ ესოდენ ცნობილი სპორტული მოღვაწის ჩამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს სპორტში, რაც, იმედია, ობიექტურად და სუბიექტურადაც ხელს შეუწყობს საქართველოში კრივის განვითარებას.

ჩვენც ვისარგებლეთ ძალზე ხელსაყრელი შემთხვევით და ინტერვიუ ვთხოვეთ ბატონ ანვარ ჩაუდრის, რაზედაც იგი თავაზიანად დაგვთანხმდა. მადლობას ვუხდით აგრეთვე ლელა ლიბრაძეს, რომელმაც შესანიშნავად გაგვიწია თარჯიმნობა.



### წელიწადი-მკითხველი

**უნგრეთის** ქალაქ კეჩკემეტში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა ტრადიციული შეჯიბრება ტყვიის სროლაში, სადაც მეორე ადგილი დაიკავა სოხუმელმა ვ. ხალეცკიმ, მან მპ-2 ვარჯიშში 185 ქულა მოაგროვა.

თბილისელი ვ. ზოტიკოვი სასამსახურეო ექსპიდში გამოდიოდა და გუნდთან ერთად ჩემპიონი გახდა, ხოლო ერთ-ერთ სახეობაში, — ცურვაში, მეორე ადგილი დაიკავა.

**ნიუ-იორკი.** ოლიმპიურმა ჩემპიონმა ველოსპორტში ტალინელმა ერიკა სალუმიაემ მორიგი გამარჯვება მოიპოვა, მან კალიფორნიის უნივერსიტეტის ტრეკზე ჩატარებულ საერთაშორისო შეჯიბრების ფინალში დაამარცხა სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი, ფრანგი იზაბელ გოტერონი. (სპრინტი).

სეულის თამაშების კიდევ ერთმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა, რომელიც ეს-ესაა პროფესიონალებში გადავიდა, იოლად მოიგო რბოლა 20 წრეზე. მისმა თანაქალაქელმა გალინა ცარიოვამ მეორე ადგილი დაიკავა 10 წრეზე შეჯიბრებაში. „კეირინში“ მესამე იყო ნიკოლაი კოვში, ხოლო ე. წ. იტალიურ რბოლაში უძლიერესნი იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები. მაგრამ ყველაფერმა ამან ვერ უშველა საბჭოთა ნაკრებს, — იგი გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა — 90 ქულა. პირველი და მეორე ადგილები შესაბამისად დაიკავეს აშშ-ის (107) და იტალიის (94) ველომრბოლელებმა.

**ტოკიო.** ფედერაციის თასის მფლობელი გახდა აშშ-ის ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები. ფინალში მან „მშრალი“ ანგარიშით დაამარცხა ესპანეთის გუნდი — 3:0. კრის ევერტმა მოუგო კონჩიტა მარტინესს — 6:3, 6:2, მარტინა ნავრატილოვამ აჯობა არანტა სანჩეს-ვიკარიოსს — 0:6, 6:3, 6:4. წყვილთა შეჯიბრებაში პამ შრაივერმა და ზინა ჰარისონმა აჯობეს მარტინესსა და სანჩეს-ვიკარიოსს — 7:5, 6:1

**ორლანდო.** აშშ-ის ამ ქალაქში გამართულ ტურნირის (საპრიზო ფონდი — 415 ათასი დოლარი) ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკელები, ბრედ ჯილბერტი და ანდრე აგასი. გაიმარჯვა აგასიმ — 6:2, 6:1, რომელმაც შეწყვიტა საკუთარ წარუმატებლობათა სერია წლევანდელ სეზონში.

# სამოყვარულო კრივი იცოცხლებს

## სხვა საკითხებთან ერთად პრეზიდენტი კრივის საერთაშორისო ფედერაციაში საბჭოთა რესპუბლიკების შესვლის თაობაზე დასმულ შეკითხვებსაც პასუხობს

● **ბატონო პრეზიდენტო, რამდენად შეგვიძლია ვერწმუნოთ გავრცელებულ ხმებს იმის შესახებ, რომ თითქოს შესაძლოა კრივი ამოიღონ ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან?**

— ეს სიმართლე არ გახლავთ. აქ საბოლოო სიტყვის უფლება მხოლოდ ექიმებს აქვთ. ამას წინათ ლოზანაში შევხვდი სოკ-ის პრეზიდენტს ხუან ანტონიო სამარანჩს და დაწვრილებით გავაცანი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგანგებო სამედიცინო კომისიების მუშაობის შედეგები ამ საკითხზე. ექიმებმა უამრავი მოკრივე გასინჯეს და დაასკვნეს, რომ კრივი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო არ არის. მხედველობაში მაქვს მოყვარული მოკრივეები და არა პროფესიონალები. ჩვენსა და პროფესიონალებს შორის სრული განსხვავებაა, ეს შეეხება მოთხოვნებს და საერთოდ, შეხედულებებს კრივზე...

მოყვარულ მოკრივეთა მუდმივი სამედიცინო კონტროლი ძნელი საქმეა. ისინი 24-25 წლის ასაკში უკვე ტოვებენ სპორტს და თავისი გზით მიდიან. მაგრამ ჩვენი სიმართლე რომ დავამტკიცო, გეტყვით, რომ ამერიკაში კრივის ასოციაციამ ასეულ მილიონ დოლარად შეისყიდა უნიკალური სამედიცინო ლაბორატორია, შეარჩია 5000-მდე ახალგაზრდა, რომლებმაც კრივში ვარჯიში გადაწყვიტეს და უკვე მესამე წელია, მუდმივ დაკვირვებას აწარმოებენ მათზე. ამ კომისიის დასკვნაც ზემოთქმულის იდენტურია — სამოყვარულო კრივი მავნე არ არის!

როცა ამ კვლევის შედეგები სამარანჩს გავაცანი, მან დიდად გაიოცა და შემპირდა, ყველაფერ ამას საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მოვახსენებ მორიგ სხდომაზე პუერტო-რიკოში.

იხ. გვ. 2 გვ

### სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი ჭადრაკში

## უიღბლო დღე

**უიღბლო** გამოდგა გადადებული პარტიების დამთავრება თბილისელ გია გიორგაძისთვის, რომელიც ჯერ პირველი ტურიდან გადადებულ პარტიაში დამარცხდა მალანიუკთან, ხოლო შემდეგ — ეინგორნთან. ახლა გიორგაძეს 3 ქულა აქვს და ერთი ბელიავსკისთან გადადებული პარტია.

9 ტურის შემდეგ სსრ კავშირის ვაჟთა 56-ე საჭადრაკო ჩემპიონატის ლიდერია ვაჰანიანი — 6 ქულა. სოკოლოვსა და ეინგორნს აქვთ 5-5, ხოლო ტუკმაკოვსა და გელფანდს — 4,5-4,5 (თითო გადადებული პარტია).

## პირველი ტაიმ-აუტი

**ლონდონში** მიმდინარე მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის მეხუთე პარტია ჰოლანდიელ იან ტიმანსა და ინგლისელ ჯონათან სპილმენს შორის ყაიმით დასრულდა და ახლა ანგარიშია 2,5:1,5 ჰოლანდიელის სასარგებლოდ (მოწინააღმდეგეებს ერთი პარტია დასამთავრებელი აქვთ).

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში შესვენებაა, ვინაიდან არტურ იუსუპოვმა აიღო ტაიმ-აუტი. ანგარიში აქაც 2,5:1,5-ია ანატოლი კარპოვის სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამოყვარულო კრივი იცოცხლებს

(დასასრული)

მაგრამ, თავის მხრივ, სოკ-ის პრეზიდენტმა საკუთარი კომისია დანიშნა სამი წლის ვადით, რომელიც ძირფესვიანად შეისწავლის კრივს. მასში ჩვენივე თხოვნით ის ექიმებიც შევიდნენ, რომლებიც ჭერჭერობით წინააღმდეგნი არიან კრივისა. იმედი მაქვს ჰოპკინსის ინსტიტუტი თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყვის. ეს სამი წლის შემდეგ იქნება, მანამდე კი კრივი ბარსელონის ოლიმპიადის პროგრამაში რჩება. ურყევად გვჯერა, რომ ასე იქნება სხვა, მომდევნო ოლიმპიადებშიც. სამოყვარულო კრივი იცოცხლებს.

გარდა ამისა, მუდმივად ვეძებთ საშუალებებს ტრავმების შესამცირებლად. ჩაფხუტმა ძალიან გვიშველა. სპეციალისტებმა შეიმუშავეს აგრეთვე საგანგებო საფენი ხელთათმანებისა და ჩაფხუტის ქვეშ, რომელიც თითქმის 70 პროცენტამდე ამცირებს დარტყმის ძალას. შეადარეთ: სეულის ოლიმპიადაზე შეხვედრების ცხრა პროცენტი დამთავრდა ნოკაუტით, მოსკოვში — მხოლოდ ორი. აღნიშნული სიახლის გამო იმ ქვეყნების მოკრივეები, რომლებიც აგრესიულ, უძლიერეს დარტყმებზე აგებული კრივის მიმდევარნი არიან, იძულებულნი გახდებიან შეცვალონ ბრძოლის საკუთარი მანერა.

● **ამით ხომ არ აიხსნება კუბელთა მარცხი გუნდურ ჩათვლაში?**

— კუბელები კარგა ხანს უძლიერესად ითვლებოდნენ სამოყვარულო კრივში. ახლა კი მათთვის დამახასიათებელი კრივის ძალისმიერი სტილის შეცვლა მოუწევთ. მათი უფროსი მწვრთნელი ბატონი სეგარა ალბათ მოსკოვში უკვე დარწმუნდა ამის აუცილებლობაში, იგი მონახავს ახალ გზას.

ამჟამად ტექნიკური, დახვეწილი კრივი იმარჯვებს, დაფუძნებული, ასე ვთქვათ, მეცნიერულ ნიადაგზე. საბჭოთა კავშირის მოკრივეები სწორედ ასეთ კრივს აღიარებენ და მოსკოვშიც ამიტომ გაიმარჯვეს. საერთოდ, სისხლი რინგიდან გაქრება და ყველა ბრძოლა სამ რაუნდამდე გაგრძელდება.

● **წელან რომ გკითხეთ კრივის აკრძალვის შესახებ, მხედველობაში მარტო ტრავმები არ მქონდა. ყველასთვის ცნობილია, რამდენად ძნელი გახდა მსაჯობა კრივში და უსამართლობაც ბევრი ხდება. ამის კარგ მაგალითად სეულის ოლიმპიური ტურნირიც გამოდგება, სადაც ზოგიერთი მსაჯის არაობიექტურობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა.**

— ჩვენ გვაქვს ორი მთავარი პრობლემა. პირველზე უკვე ვილაპარაკე, მეორე კი სწორედ მსაჯობაა.

ალბათ ნახავდით, მოსკოვში ქულების დასათვლელად პირველად გამოვიყენეთ კომპიუტერები, ეს სიახლე შემოგვთავაზა თქვენი ქვეყნის კრივის ფედერაციამ, ახალი მანქანებიც აქ შექმნეს. ისინი ყველას მოეწონა. სეულის ოლიმპიადაზე მსაჯობის გამო 50 პროტესტი დაიწერა. აქ კი მხოლოდ ორი.

ელექტრონიკის გამოყენება კრივში წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია, ოღონდ ამ მანქანების გაუმჯობესებაა საჭირო. ბევრმა ქვეყანამ გამოთქვა ამის სურვილი: იუგოსლავიამ, გდრ-მ, ტაილანდმა, შვეიცარიამ...

● **მათგან რომელი იქნება „აიბა-ს კომპიუტერი“?**

— ჩვენ არ გვინდა ერთ ქვეყანას მივცეთ უპირატესობა და სხვები შევზღუდოთ. ვნახოთ, ყველა კომპიუტერს შევამოწმებთ. გარკვეულ დროს რომელიც საუკეთესო იქნება, იმას გამოვიყენებთ. მოსკოვში, რა თქმა უნდა, რუსული ხელსაწყო მუშაობდა.

● **რას იტყვით მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაციაზე? თვით საბჭოთა ცენტრალური გაზეთებიც კი მიუთითებდნენ გარკვეულ ხარვეზებზე.**

— თქვენს ქვეყანას ოლიმპიადის ჩატარების გამოცდილებაც აქვს. მსოფლიო ჩემპიონატის ტექნიკური ორგანიზაცია კარგი იყო, მხოლოდ ადმინისტრაციულ საკითხებში ზოგი რამ მოუგვარებელი ჩანდა.

● **რინგის საფარსაც უჩიოდნენ...**

— ეს სიმართლეა. წესით რინგზე ნატურალური, სქელი ქსოვილი უნდა იყოს დაგებული. მოსკოვში კი ამისთვის პლასტიკატი გამოიყენეს. იგი წყალს სრულებით არ ატარებს და, რაც ყველაზე უარესია, შეუჩვეველ სპორტსმენებს წამდაუწუმ უსხლტებოდათ ფეხი. ეს უსიამოვნო სანახავი იყო, მით უმეტეს, რომ ბევრმა მოკრივემ ამ მიზეზით მთლიანად ვერ აჩვენა თავისი ძალა.

მე ადრევე გავაფრთხილე ჩემპიონატის ორგანიზატორები ამის შესახებ, მაგრამ ეს არავის გაუთვალისწინებია... ყოველი რაუნდის შემდეგ წმენდნენ რინგის საფარს.

● **რამდენ ქვეყანას აერთიანებს აიბა?**

— 155-ს, გარდა ამისა, კიდევ ხუთი ქვეყნის განაცხადი განხილვის სტადიაშია. რაოდენობრიობის მიხედვით ჩვენ მსოფლიოში მესამე ასოციაცია ვართ.

● **რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ქვეყანა, რომ აიბა-ს წევრი გახდეს?**

— მას უნდა ჰქონდეს კრივის ასოციაცია და აღიარებდეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი.

● **ბატონო პრეზიდენტო, არ ვიცი რამდენად ცნობილია თქვენთვის საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, მაგრამ კონსტიტუციურად საქართველო სუვერენული რესპუბლიკაა. აიბა-ს არ შეუძლია დაეყრდნოს ამ კონსტიტუციას?**

— ლიტვას, ლატვიას, თქვენ, შუა აზიის რესპუბლიკებს... ყველას უნდა ჩვენი ასოციაციის წევრი გახდეს. მაგრამ აიბა-ს წესდების თანახმად, ჩვენი კარი ღიაა მხოლოდ დამოუკიდებელი ქვეყნებისთვის. ადრე დაუშვეს რამდენიმე გამონაკლისი, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ, თხუთმეტიოდე წლის წინ, აიბა ახალი ორგანიზაცია იყო და ახალი წევრები ჰირდებოდა. მაშინ მიიღეს ასოციაციაში ინგლისი, შოტლანდია, უელსი... ამასთან, სწორედ დიდი ბრიტანეთის ქვეყნები იყვნენ აიბა-ს შექმნის ინიციატორები.

ახლა კი სხვა მდგომარეობაა, ბევრი წევრი გვყავს. ამიტომ ჩვენი



ორგანიზაციის ზოგიერთი ლიდერი თვლის, რომ უნდა შეწყდეს გამონაკლისების დაშვება. მაგრამ პირადი სიმპათიის გამო ეს ჯერჯერობით ვერ ხერხდება. შეუძლებელია ქვეყნის ნაწილების მიღება ასოციაციაში. მაშინ ალბათ ამერიკის ყველა შტატი მოიწადინებს ასოციაციებში შესვლას.

● **ბატონო პრეზიდენტო, ნება მიბოძეთ აღვნიშნო ის დიდი განსხვავება, რაც არსებობს ამერიკულ შტატსა და ჩვენს რესპუბლიკას შორის. შტატი ორასზე ცოტა მეტი წლის წინ შექმნილი ქვეყნის ადმინისტრაციული დანაყოფია, საქართველოს კი დიდი, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მისი სახელმწიფოებრიობა კონსტიტუციის გარდა განისაზღვრება საკუთარი ენით, ისტორიული ტერიტორიით...**

— თუ საბჭოთა კავშირის სპორტული ორგანიზაციები მოგვცემენ დასტურს, მაშინ განვიხილავთ თქვენს წინადადებას.

● **ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, საქართველოსა და ცენტრალური სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორის. თითქმის უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ ლოზანაში გაიგზავნოს გაერთიანებული დელეგაცია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებთან მოსალაპარაკებლად ამ რესპუბლიკების ოლიმპიური კომიტეტების აღიარების შესაძლებლობის შესახებ.**

— მე ეს ვიცი. უკვე შემხვდნენ ამით დაინტერესებული ხალხი თქვენი რესპუბლიკიდან. თუ სოკ-ი გაღიარებთ, კრივის საერთაშორისო ასოციაციის კარი ღია იქნება თქვენთვის.

ლიტვიდან უკვე მივიღეთ წინადადება აიბა-ში შემოსვლაზე, ამის შესახებ ვაცნობეთ თქვენს საკავშირო სპორტკომიტეტს. ახლა მათ პასუხს ველოდებით. თუ იგი დადებითი იქნება, ლიტველთა თხოვნას განვიხილავთ. ასეთივე პრინციპით გადაწყდება სხვა რესპუბლიკების წევრობის საკითხი. საქართველოდან ჯერ ასეთი წინადადება არ მიგვიღია.

● **რამდენად პოპულარულია კრივი პაკისტანში?**

— ჩვენი მოკრივეები საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ აზიაში გამართულ და სხვა საერთაშორისო ტურნირებში. მართალია, პაკისტანში კრივი ასე კარგად არ არის განვითარებული როგორც თქვენს ქვეყანაში, მაგრამ გაითვალისწინეთ ისიც, რომ ბევრგან და მათ შორის ჩვენთანაც, იგი ძალზე სწრაფ პროგრესს განიცდის.

● **რაშიც ალბათ დიდ როლს ასრულებს ისიც, რომ აიბა-ს პრეზიდენტი პაკისტანელია.**

— ჩემი სიმპათიები, რა თქმა უნდა, მუდამ ჩემი ქვეყნის მოკრივეების მხარეს იქნება, თუნდაც უძლიერესი გუნდი გვყავდეს და თუნდაც ისეთი, ახლა რომ არის. ამიტომ იქნებ არ უნდა ვესწრაფოდე ობიექტური კომპიუტერების დანერგვას ჩემს ქვეყანაში. საერთაშორისო სპორტული ასოციაციის პრეზიდენტი მუდამ ცდილობს თავისი თანამემამულეების სასარგებლოდ გადაწყვიტოს ყოველი საქმე (ეს ფრაზა ბატონმა ჩაუდრიმ ღიმილით თქვა. გ. ჩ.).

● **რა სიახლეები ელოდება კრივის მოყვარულებს?**

— წლეულს ახლებური სისტემით ჩატარდება მსოფლიო თასის გათამაშება, იგი რამდენიმე ეტაპს მოიცავს და ჰავანის ტურნირით დაიწყება. მომავალი მსოფლიო თასის გათამაშებაზე კი სრულიად ახალი სახის შეხვედრებს იხილავს მაყურებელი. სამწუთიანი სამი რაუნდის ნაცვლად ჩატარდება ხუთი ორ-ორწუთიანი რაუნდი. ასეთი სიახლე უკვე გამოვცადეთ კასაბლანკის ტურნირში და მან აშკარად გაამართლა. ეს სულ სხვა კრივი იყო, შემჩნეულია, რომ მოკრივეები მესამე წუთისთვის ძალზე იღლებიან და მათი მოძრაობა ნელდება. ახალი წესები კი კრივს უფრო დინამიურს, უფრო დახვეწილს გახდის.

● **და ბოლოს, მინდა გკითხოთ ამ ვიზიტის შესახებ.**

— საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანა ყოფილა. განსაკუთრებით მომეწონა თქვენი ისტორიული ადგილები, აგრეთვე ეროვნული კერძები. თუ მომეცა შესაძლებლობა, კიდევ ჩამოვალ საქართველოში.

თქვენს რესპუბლიკაში კრივი საკმაოდ კარგად არის განვითარებული. გავიგე თქვენი ორი თუ სამი მოკრივე საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატი ყოფილა, რომლის სიძლიერეზე უკვე ვთქვი. ახალგაზრდა მოკრივეებიც კარგი გყავთ. საერთაშორისო ტურნირებში ცალკე გუნდით გამოსვლა მართლაც ძალზე სასარგებლო იქნება თქვენთვის. საერთაშორისო ურთიერთობების გარეშე ახლა წარმატებებს ვერ მიაღწევ.

ორგანიზაცია „XXI საუკუნის“ თქვენმა წარმომადგენელმა თქვა, რომ თბილისში აპირებენ საერთაშორისო სამატჩო შეხვედრის ჩატარებას. რატომ იწვევთ მხოლოდ ერთ ქვეყანას? თავდაპირველად უნდა დაპატიჟოთ ხუთი-ექვსი მაინც. ასეთი ტურნირები ტარდება ლენინგრადში, ბაქოში... თქვენც უნდა ჩაატაროთ. სხვა ქვეყანაში რამდენიმე სპორტსმენს თუ გააგზავნით, აქ კი შეგიძლიათ ბევრი ახალგაზრდა გამოსცადოთ.

და თუ რამეში ხელშეწყობა დაგჭირდათ, მეც თქვენს მხარეზე მიგულეთ.

პრეზიდენტს ესაუბრა
**გიორგი ჩოჩიშვილი.**

---

„დინამოს“ ახალი ბაზა ფოთში

## სპორტულიც, გამაჯანსაღებელიც

**წელს** ფოთში მწყობრში ჩადგა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ოთხსართულიანი სანიჩბოსნო ბაზა. ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ბაზის დირექტორს გურამ გუჯაბიძეს.

● **უპირველეს ყოვლისა, გაგვაცნოთ ბაზას — რამდენ სპორტსმენს მიიღებს, ძირითადად ვის მოემსახურება იგი?**

— ჩვენი სანიჩბოსნო ბაზა 100-ადგილიანია, აქვს თავისი კვების ბლოკი. მოვემსახურებით როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ და საკავშირო ნაკრებ გუნდებს. მარტსა და აპრილში უკვე მივიღეთ სპორტსმენთა დიდი ნაკადი — ჩატარდა ორი საკავშირო პირველობა საბაიდარო ნიჩბოსნობაში მოზარდებს შორის.

● **ეს ბაზა, ალბათ, კარს გაუღებს ფოთელ მოზარდებსაც.**

— რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოვაყალიბეთ აკადემიური და საბაიდარო ნიჩბოსნობის ჯგუფები, რომელთაც ამეცადინებენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ბუკია, სპორტის ოსტატი გ. მიქაძე და ახალგაზრდა მწვრთნელი ა. ვლასენკო. ამ ჯგუფებიდან 7 სპორტსმენი უკვე რესპუბლიკის ნაკრებშია. ჩამოვაყალიბეთ აგრეთვე ცურვის შემსწავლელი წრე, რომელიც ღია აუზში მეცადინეობს მაისიდან სექტემბრამდე. აქ ვიღებთ 10-11 წლის ბავშვებს.

● **მაგრამ ნიჩბოსანი ხომ მარტო წყალზე არ მზადდება...**

— ჩვენი ბაზა იმითაცაა ცნობილი, რომ გვაქვს სპორტული ტრენაჟორები, ტანვარჯიშული იარაღი, ჩოგბურთის მაგიდები, ფრენბურთის მოედნები.

● **უმრავლეს შემთხვევაში ზაფხულობით სპორტულ ბაზებზე „მკვდარი სეზონია“. თქვენ როგორ აპირებთ ამ პერიოდში ბაზის დატვირთვას?**

— უფლება გვაქვს ჯანმრთელობის გასაკაჟებლად მივიღოთ ჩამოსული და ადგილობრივი დამსვენებლები ოჯახებით. მათ განკარგულებაში იქნება ორ და სამადგილიანი კომფორტული ოთახები, საშხაპეები, აღდგენითი ცენტრი. შეგვიძლია სტუმრები კატარღებით გავასეირნოთ პალიასტომის ტბაზე, რომელსაც მხოლოდ 300 მეტრი გვაშორებს. აქვეა მდინარე კაპარჭინა, ზღვის სანაპირო ზოლამდე კი 600 მეტრია. ამასთან, ჩვენი ზონის სუბტროპიკული კლიმატი საუკეთესო საშუალებაა გულით დაავადებულთა სამკურნალოდ. დამსვენებლებისთვის მოვაწყობთ სპორტულ ღონისძიებებს, ვუჩვენებთ კინოფილმებს. მალე მწყობრში ჩადგება ვიდეობარიც. ერთი სიტყვით, „დინამოს“ სანიჩბოსნო ბაზა სპორტულთან ერთად გაჯანსაღებისა და დასვენების კერაც იქნება.

ესაუბრა **ტრისტან მანია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

**ფოთი.**

---

## ვინც ბოზნევში არ ჩამოვიდა...

**თბილისის** ტურისტული კლუბის წევრებმა შეკრება-შეჯიბრებისთვის ულამაზესი ადგილი ამოარჩინეს. ეს გახლავთ სოფელ ბოზნევის მიდამოები, რომელიც გორის რაიონში, ატენის ხეობაში მდებარეობს. თბილისელებს ბევრი აღარც უფიქრიათ, სხვადასხვა ქალაქებში მოსაწვევები დაუგზავნეს და ბოზნევში რესპუბლიკურ შეკრება-შეჯიბრებაზე მონაწილეობისათვის უხმეს.

— სამწუხაროდ, საასპარეზოდ ბევრი არ ჩამოვიდა, — გვეუბნება თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი ლექსო უთარაშვილი. — ამით მათ დიდი სიამოვნება დაკარგეს. ბუნების ისეთ სიმშვენიერეს, როგორიც ბოზნევში იყო, ბევრგან ვერ ნახავთ. ასპარეზობისგან თავისუფალ დროს ტყეში ვინ სოკოს კრეფდა და ვინ ხილსა თუ კენკრას. ზოგიც უბრალოდ დასეირნობდა, სურათებს იღებდა და თვალს ახარებდა.

რაც შეეხება შეჯიბრებას, მისი ტრასა ტყესა თუ ველ-მინდვრებში 6,5 კილომეტრზე გადიოდა. სიმაღლეთა სხვაობა 350 მეტრს შეადგენდა. აქ მრავალი წინაღობისა და გამოცდის შემდეგ ყველას გორის ტურისტული კლუბის წევრებმა აჯობეს, მეორე იყო თბილისის დიმიტროვის ქარხანა, ხოლო მესამე — თბილისის ტურისტული კლუბის გუნდი. თუმცა, საბოლოოდ შეკრება-შეჯიბრების ყველა მონაწილე მოგებული დარჩა.

**ავთანდილ ჟუჟუნაშვილი.**

---

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

## „რატომ არ მიუხარიათ?“

**16 სექტემბრის გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში „რატომ არ მიუხარიათ?“ ქ. ზუგდიდის განათლების განყოფილების ძალოსნობის დარბაზის მდგომარეობის შესახებ მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. აღნიშნული შენობის კაპიტალური შეკეთებისათვის საჭიროა 100 ათასი მანეთი. წელს შექმნილი სიძნელეების გამო არა გვაქვს შესაძლებლობა ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ დანიშნულებით გამოვყოთ საჭირო თანხები.**

**საქალაქო საბჭოს აღმასკომს გათვალისწინებული აქვს მომავალ წელს გამონახოს სახსრები აღნიშნული შენობის და სპორტდარბაზის კაპიტალური შეკეთებისათვის. ამასთან, ვიმედოვნებთ, რომ 1990 წელს დახმარების ხელს გამოგვიწვდის რესპუბლიკის სპორტკომიტეტი.**

**ა. იზორია.**
**აღმასკომის თავმჯდომარე.**

## I ლიგა

**7 ოქტომბერს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 38-ე ტურის მატჩები.

**ლანჩხუთის** „გურიამ“, რომელიც წარმატებით იბრძვის უმაღლეს ლიგაში დაბრუნებისთვის, დონის როსტოვში გამართა შეხვედრა ადგილობრივ არმიელთა გუნდთან. როსტოველი არმიელები ამჟამად გათამაშების ცხრილში ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფებიან, ამდენად თითოეულ ქულას მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. შესაბამისად ამისა, მათ მთელი თავიანთი შესაძლებლობით იბრძოლეს და ფრეს მიაღწიეს ერთ-ერთ ლიდერთან შეხვედრაში — 1:1.

**ლანჩხუთის** „გურიის“ პერსპექტივისთვის მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო მისი ერთ-ერთი მთავარი მეტოქის ალმა-ათის „კაირატის“ მატჩი ბათუმში, ადგილობრივ „დინამოსთან“. ალმაათელი ფეხბურთელები აგრეთვე იბრძვიან უმაღლეს ლიგაში მოხვედრისთვის, ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ ბათუმის „დინამო“ საკუთარი სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესების გარდა „კაირატის“ შეფერხების ამოცანის წინაშეც იდგა, რათა გათამაშების დასასრულს ლანჩხუთის „გურიას“ უმაღლეს ლიგაში გადასვლის უკეთესი შესაძლებლობა შეექმნას.

ბათუმელებმა წარმატებით შეასრულეს დასახული ამოცანა, მათ ენერგიულად, მონდომებით ითამაშეს და ძლიერი მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 1:0. ეს გოლი 25-ე წუთზე გაიტანა ჯოხაძემ: სტუმართა კარის სიახლოვეს გასული ზედანია ხელით დაიჭირა მეკარე ჩეკმეზოვმა, რისთვისაც მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა. დარტყმა ზუსტად შეასრულა ჯოხაძემ — 1:0.

დინამოელებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, როცა „კაირატის“ კარში ხელმეორედ დაინიშნა 11-მეტრიანი, მაგრამ ჯოხაძის მიერ დარტყმული ბურთი მოიგერია მეკარე ჩეკმეზოვმა.

ბათუმის დინამოელებმა ღირსეულ გამარჯვებას მიაღწიეს ამ მატჩში, მაგრამ შეშფოთებას იწვევს გუნდის მოთამაშეების გოგიტიძისა და აფციაურის მიერ მიღებული გაფრთხილებები.

**კიდევ** უფრო გაიუმჯობესა მდგომარეობა გათამაშების ცხრილში ქუთაისის „ტორპედომ“, რომელმაც თავის მინდორზე დონის როსტოვის „როსტსელმაში“ მიიღო. ტორპედოელთა უპირატესობა აშკარა იყო პირველ ტაიმში, მრავალრიცხოვანი იერიშებიდან ორი შედეგიანი დარტყმებით დაამთავრეს მეგრელაძემ და შავდათუაშვილმა — 2:0. შესვენების შემდეგ შავდათუაშვილმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა, 55-ე წუთზე რომანცევმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა 1:3-მდე, შემდეგ მახარაძემ კვლავ დააწინაურა ტორპედოელები — 4:1 და მატჩის ანგარიშს საბოლოო წერტილი დაუსვა როსტოველმა სიომინმა, რომელმაც ზუსტად გამოიყენა 11-მეტრიანი. „როსტსელმაშს“, გარდა ამისა, კიდევ მიეცა ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ პოვალიაევის დარტყმა ძელს მოხვდა. საბოლოოდ ტორპედოელებმა გამარჯვებულმა დატოვეს მინდორი — 4:2.

ლიგის ლიდერმა ცსკა-მ ქულა დაკარგა სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ შეხვედრაში — 2:2.

**ტურის** სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 3:2, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:0, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 2:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 4:0, „დაუგავა“ რიგა) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 1:0, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 36 | 22 | 10 | 4 | 87-23 | 54 |
| „გურია“ | 36 | 21 | 9 | 6 | 61-32 | 51 |
| „კაირატი“ | 37 | 21 | 8 | 8 | 68-31 | 50 |
| „ფაკელი“ | 36 | 16 | 10 | 10 | 43-32 | 42 |
| „ნეფთჩი“ | 36 | 15 | 12 | 9 | 49-36 | 42 |
| „დინ.“ სტ. | 36 | 15 | 11 | 10 | 44-37 | 41 |
| „მეტალურ.“ | 36 | 16 | 8 | 12 | 49-35 | 40 |
| „ფახთაქ.“ | 37 | 15 | 10 | 12 | 50-33 | 40 |
| „ტავრია“ | 36 | 15 | 10 | 11 | 56-46 | 40 |
| „ნისტრუ“ | 37 | 17 | 4 | 16 | 39-52 | 38 |
| „გეოლოგი“ | 37 | 16 | 6 | 15 | 46-44 | 38 |
| „კოტაიკი“ | 36 | 13 | 12 | 11 | 41-34 | 38 |
| „ტორპედო“ | 35 | 15 | 5 | 15 | 56-59 | 35 |
| „სპარტაკი“ | 36 | 11 | 10 | 15 | 42-49 | 32 |
| „დინამო“ ბ. | 36 | 11 | 10 | 15 | 33-50 | 32 |
| „როსტს.“ | 36 | 10 | 12 | 14 | 34-40 | 32 |
| „შინიკი“ | 37 | 10 | 12 | 15 | 39-58 | 32 |
| „ყუბანი“ | 36 | 10 | 9 | 17 | 36-65 | 29 |
| ასკ რ. | 36 | 8 | 11 | 17 | 46-65 | 27 |
| „კუზბასი“ | 36 | 8 | 10 | 18 | 22-40 | 26 |
| „დაუგავა“ | 36 | 7 | 6 | 23 | 25-63 | 20 |
| ასკ „კარპ.“ | 36 | 5 | 7 | 24 | 32-74 | 17 |

იტალია-90

# მსოფლიო ჩემპიონატი

**8 ოქტომბერს** ევროპის ზონაში გაიმართა მსოფლიოს მომავალი საფეხბურთო ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი.

### II ჯგუფი

**შვეციის** ფეხბურთელებმა სტოკჰოლმში ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ალბანეთის გუნდი. ამ ანგარიშში უჩვეულო არაფერია გარდა იმისა, რომ დასაწყისში დაწინაურდნენ ალბანელი ფეხბურთელები: მასპინძელთა მეკარემ რაველიმ უხეშად ითამაშა მეტოქე თავდამსხმელის კუშტის წინააღმდეგ და ალბანელმა თვითვე ზუსტად დაარტყა 11-მეტრიანი. საპასუხო ბურთი შვედებმა შესვენებამდე გაიტანეს (მაგნუსენი), მეორე ტაიმში კი ინგესონმა და ინკვისტმა კიდევ ორჯერ აიძულეს სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

შვეციის ნაკრების მწვრთნელმა უ. ნორდინმა მატჩის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა საკუთარ შესაძლებლობაზე გაცილებით სუსტად ითამაშა, თუმცა, გამარჯვებას მაინც მიაღწია.

შესარჩევ ჯგუფში ფინალის ერთი საგზურისთვის მძაფრი ბრძოლაა გაჩაღებული ინგლისისა და შვეციის გუნდებს შორის, რომლებსაც ახლა ქულათა ერთნაირი რაოდენობა აქვთ.

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 5 | 3 | 2 | 0 | 10-0 | 8 |
| შვეცია | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 2 |
| ალბანეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-13 | 0 |

### III ჯგუფი

**შესარჩევი** ჯგუფიდან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ორი გუნდი გადის. საბჭოთა ფეხბურთელებს არსებითად, განაღდებული აქვთ ერთ-ერთი საგზური, მაგრამ ჯგუფში ჯერ კიდევ დარჩენილია თამაშები, არის თეორიული ვარიანტი, რომელიც თუ სინამდვილედ იქცა, ჩვენს გუნდს დაუკარგავს ფინალში მოხვედრის შესაძლებლობას. ამიტომაც საჭიროა 10 ქულის დაგროვება და ამ შემთხვევაში საბჭოთა ნაკრებს ფინალში მოხვედრის სრული, საბოლოო გარანტია აქვს განაღდებული.

ამდენად, მეტად მნიშვნელოვანი იყო 8 ოქტომბრის მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან, რომელიც ქალაქ კარლ-მარქს-შტადტში შედგა. გერმანელ ფეხბურთელებს ამ მატჩისთვის შესარჩევ ჯგუფში ბოლო ადგილი ეკავათ, მაგრამ გუნდს საბოლოოდ გადაწყვეტილი მაინც არა აქვს ფინალის საგზურის მოპოვების შანსი, ამიტომაც მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს ლიდერთან გამარჯვების მოსაპოვებლად და მიაღწიეს კიდეც საწადელს.

პირველი წარმატება საბჭოთა ფეხბურთელებს ხვდათ წილად: მიმდინარეობდა 78-ე წუთი, როცა პროტასოვმა მარჯვენა ფლანგიდან გარღვევის შემდეგ ცენტრში მიაწოდა და ლიტოვჩენკომ ზუსტი, ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. ორიოდე წუთის შემდეგ მასპინძლები მთელი შემადგენლობით გადავიდნენ კონტრშეტევაზე, აქ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს საბჭოთა გუნდის მცველებმა, კერძოდ, უზუსტოდ ითამაშა მეკარე ჩანოვმა, სწორედ მისი ლაფსუსის შედეგად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა მასპინძელთა ორი მოიერიშე ფეხბურთელი კირსტენი და ტომი. გერმანიის დემოკრატიული გუნდის ეს იერიში საპასუხო გოლით დამთავრდა — 1:1, მცირე ხანს შემდეგ კი ზამერმა მეორედ აიღო საბჭოთა გუნდის კარი, მეკარე ჩანოვის ნახტომმა ამ შემთხვევაშიც დაიგვიანა — 2:1.

ცხადია, საბჭოთა ფეხბურთელებმა ეს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი სუსტად ჩაატარეს, აშკარად იგრძნობოდა გაუმართლებელი, ზედმეტი აკადემიზმი, შენელებული ტემპი, სწრაფვა მატჩის ფრედ დამთავრებისადმი. გუნდი უმთავრესად შუა მინდორზე მოქმედებდა, შეტევისას არ ჩანდა თავდამსხმელთა აგრესიული განწყობა და აზარტი, გამარჯვების სურვილი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებმა, პირიქით, განსაკუთრებით მეორე ტაიმში, მაქსიმალური მონდომებით ითამაშა და მიზანსაც მიაღწია. გუნდს კვლავ შეექმნა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მოხვედრის შანსი.

სსრ კავშირის ნაკრებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ჩანოვი, ბესონოვი, ხიდიატულინი, კუზნეცოვი, გორლუკოვიჩი, ალეინიკოვი, მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, პროტასოვი, დობროვოლსკი.

საბჭოთა ნაკრებს ახლა ბოლო მატჩი დარჩა ჩასატარებელი თურქეთის გუნდთან, რომელიც 8 ნოემბერს შედგება სიმფეროპოლში (ამ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ო. კუზნეცოვი, რომელმაც განვლილ შეხვედრაში მეორედ დაიმსახურა ყვითელი ბარათი შესარჩევი მატჩების ციკლში).

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 7 | 3 | 3 | 1 | 9-4 | 9 |
| ავსტრია | 6 | 2 | 3 | 1 | 6-6 | 7 |
| გდრ | 7 | 3 | 1 | 3 | 9-10 | 7 |
| ისლანდია | 8 | 1 | 4 | 3 | 6-11 | 6 |
| თურქეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-8 | 5 |

დარჩენილ შეხვედრათა კალენდარი:
25. X. თურქეთი-ავსტრია
8.XI. სსრ კავშირი-თურქეთი
15.XI. ავსტრია-გდრ.

• • •

**გვატემალა.** ფრედ — 0:0 დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი კონკაკაფ-ის ჯგუფში გვატემალისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის. ამ ჯგუფში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება კარგა ხნის წინ გაინაღდეს კოსტა-რიკის ფეხბურთელებმა, ახლა ბრძოლა მიმდინარეობს ფინალის მეორე საგზურისთვის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა-რიკა | 8 | 5 | 1 | 2 | 10-6 | 11 |
| ტრინიდადი და ტობაგო | 7 | 3 | 3 | 1 | 7-4 | 9 |
| აშშ | 6 | 3 | 2 | 1 | 5-3 | 8 |
| გვატემალა | 6 | 1 | 1 | 4 | 4-7 | 3 |
| სალვადორი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-8 | 1 |

## II ლიგა

**გაიმართა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები: „დინამო“ (მახაჩყალა) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:3, „ბაკინეცი“ (ბაქო) — „დილა“ (გორი) 1:3, „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „კოლხეთი“ (ხობი) 2:0, „ზვეზდა“ (ვოროდიშჩე) — „დინამო“ (სოხუმი) 0:1, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 2:1, „ყარაბაღი“ (აგდამი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 2:0, „ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) 2:0, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 1:1. „კოლხეთი“ (ფოთი) — ომც (თბილისი) 3:0, „მერცხალი“ (ოზურგეთი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:2.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 10 ოქტომბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ ს. | 36 | 24 | 7 | 5 | 74-27 | 55 |
| „ტექსტილ.“ | 38 | 23 | 8 | 7 | 78-27 | 54 |
| „კოლხ.“ ფ. | 36 | 22 | 7 | 7 | 61-29 | 51 |
| „ლოკომ.“ ს. | 36 | 20 | 7 | 9 | 72-41 | 47 |
| „დილა“ | 37 | 20 | 6 | 11 | 80-50 | 46 |
| „კოლხ.“ ხ. | 37 | 18 | 9 | 10 | 54-43 | 45 |
| „ნარტი“ | 37 | 20 | 4 | 13 | 58-40 | 44 |
| „გოიაზანი“ | 38 | 20 | 4 | 14 | 59-47 | 44 |
| „ქიაფაზი“ | 38 | 19 | 6 | 13 | 63-46 | 44 |
| „ზვეზდა“ | 38 | 17 | 5 | 16 | 60-61 | 39 |
| „ყარაბაღი“ | 38 | 16 | 7 | 15 | 45-58 | 39 |
| „ტორპედო“ | 36 | 15 | 7 | 14 | 55-30 | 37 |
| „მერცხალი“ | 36 | 15 | 6 | 15 | 56-50 | 36 |
| „ხაზარი“ ს. | 38 | 13 | 10 | 15 | 56-56 | 36 |
| „მეტალ.“ | 38 | 13 | 10 | 15 | 60-63 | 36 |
| „ლოკ.“ მ. წყ. | 37 | 12 | 7 | 18 | 42-57 | 31 |
| „დინამო“ მ. | 39 | 9 | 13 | 17 | 51-52 | 31 |
| „ატომმაში“ | 37 | 12 | 5 | 20 | 54-74 | 29 |
| „შევარდენი“ | 38 | 10 | 6 | 22 | 39-72 | 26 |
| „ხაზარი“ ლ. | 35 | 9 | 4 | 22 | 24-68 | 22 |
| „ბაკინეცი“ | 39 | 7 | 5 | 27 | 29-81 | 19 |
| ომც | 38 | 4 | 1 | 33 | 35-124 | 9 |

## „კოლხეთი“ — ფინალში

**მინიფეხბურთელთა** საკავშირო ტურნირზე „მარკის ღირსება“, რომელსაც აწყობს გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“, წარმატებით გამოვიდა ფოთელთა გუნდი „კოლხეთი“. ტურნირი კომერციულია, ფოთელ ფეხბურთელთა სპონსორია მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხეთი“ (თავმჯდომარე კ. სიხარულიძე).

დონის როსტოვში გამართულ ზონალურ თამაშებში, სადაც 12 გუნდი მონაწილეობდა, „კოლხეთმა“ ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაისაკუთრა. ფინალურ შეხვედრაში მათ დაამარცხეს ადგილობრივი „როსტსელმაში“ და ზონის თასს დაეუფლნენ.

**ტრისტან მანია.**

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები: პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:4, „მზიური“ (გალი) — „დინამო“ (გაგრა) 1:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „სიონი“ (ბოლნისი) 3:0, „სულორი“ (ვანი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 1:0, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 4:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 3:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 1:1. „არმაზი“ (მცხეთა) — „ივერია“ (ხაშური) 2:1.

## „ნორჩი დინამოელის“ პირველობაზე

**ზუგდიდში** მოეწყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ფეხბურთში 1974-75 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და ზუგდიდის „ნორჩ დინამოელთა“ გუნდები.

პირველი ადგილი ზუგდიდელმა ფეხბურთელებმა დაიკავეს, მეორე — ქუთაისელებმა, ხოლო მესამე — ბათუმის ნორჩ დინამოელებს ხვდათ წილად.

**ნუგზარ ჟვანია.**
**(„ლელოს“ საკ. კორ.).**

### კავშირის თასზე

**8 ოქტომბერს** შედგა ორი ნახევარფინალური მატჩი სსრკ საფეხბურთო კავშირის თასზე: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:0, „დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 2:1.

### ლიდერის მარცხი

**სსრ კავშირის** ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები (ასაკი — 21 წლამდე) ლიდერობს ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევ ჯგუფში (7 ქულა). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდების შეხვედრის წინა დღეს საბჭოთა ახალგაზრდულმა გუნდმა სტუმრად ითამაშა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან და მარცხი იწვნია — 2:3.

დამარცხების მიუხედავად, საბჭოთა ნაკრები კვლავინდებურად ლიდერობს ევროპის III შესარჩევ ჯგუფში, სადაც გამოდიან სსრ კავშირის, გდრ-ის, ავსტრიისა და თურქეთის გუნდები.

### დანაშაული და სასჯელი

**ფეხბურთში** ევროპის მიმდინარე საკლუბო გათამაშებათა II ტურის პირველ მატჩებში მინდორზე წესრიგი დაარღვიეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ვ. პასულკომ („სპარტაკი“, მოსკოვი), ო. პროტასოვმა („დინამო“, კიევი) და ვ. ტიშჩენკომ („დნეპრი“, დნეპროპეტროვსკი).

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა იმსჯელა ამ ფეხბურთელთა შესახებ და შესაბამისი სასჯელიც გამოიტანა: ევროპულ საკლუბო გათამაშებათა 4 მატჩში მონაწილეობა აეკრძალა ვ. პასულკოს, 3 მატჩით — ო. პროტასოვს და 3 მატჩით — ვ. ტიშჩენკოს.



### სოფი ლორენის მონაწილეობით

**განთქმული** იტალიელი კინომსახიობი სოფი ლორენი 9 დეკემბერს რომში მონაწილეობას მიიღებს ფეხბურთში 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტების ჯგუფებად დაყოფაში. ამავე დღეს გამოჩენილი იტალიელი ტენორი ლუჩანო პავაროტი გამართავს კონცერტს, სადაც შეასრულებს პოპულარულ არიებს, ხოლო კომპოზიტორი ჯორჯო მოროდერი (ოსკარის მფლობელი), რომელმაც სეულის ოლიმპიადისთვის სპეციალურად დაწერა ჰიმნი, ახლა [illegible] ახალ ჰიმნს წარმოადგენს, [illegible] უნდა გაიხსნას მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში.

ბიბლიოთეკა

„ლელოს“ 6 ოქტომბრის ნომერში, რომელიც მთლიანად მიეძღვნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (სეოკ-ის) შექმნის დამფუძნებელ კონფერენციას, გამოვაქვეყნეთ ჩვენი რესპუბლიკიდან ყველა ოლიმპიური ჩემპიონის სია.

ვითვალისწინებთ რა მკითხველთა დიდ დაინტერესებას, დღეს გაგაცნობთ ოლიმპიურ თამაშებში (1952–1988 წლები) საქართველოს ყველა პრიზიორს.

## ვერცხლის მედლები

**ოთარ ქორქია.** 1952 წ. ჰელსინკი. XV ოლიმპიადა (დაიბადა 1923 წ. თბილისი, „დინამო“) — კალათბურთი.

**ნოდარ ჯორჯიკია.** 1952 წ. ჰელსინკი. XV ოლიმპიადა (1921, თბილისი, „დინამო“) — კალათბურთი.

**ლევან ხანაძე.** 1952 წ. ჰელსინკი. XV ოლიმპიადა (1928, თბილისი „ნაუკა“) — მძლეოსნობა, ესტაფეტა 4X100.

**ზურაბ მინაშვილი.** 1960 წ. რომი. XVII ოლიმპიადა (1936, თბილისი, „დინამო“) — კალათბურთი.

**ვლადიმერ უგრეხელიძე.** 1960 წ. რომი. XVII ოლიმპიადა (1939, თბილისი. „დინამო“) — კალათბურთი.

**გიორგი სხირტლაძე.** 1960 წ. რომი. XVII ოლიმპიადა (1932, თბილისი, „სპარტაკი“) — თავისუფალი ჭიდაობა, საშუალო წონა.

**გივი ჩიქვანაია.** 1960 წ. რომი. XVII ოლიმპიადა (1939, თბილისი, „დინამო“) — წყალბურთი.

**ლერი გოგოლაძე.** 1960 წ. რომი. XVII ოლიმპიადა (1938, თბილისი, „დინამო“) — წყალბურთი.

**გურამ სადარაძე.** 1964 წ. ტოკიო. XVIII ოლიმპიადა (1939, თბილისი „ბურევესტნიკი“) — თავისუფალი ჭიდაობა, ქვესაშუალო წონა.

**რომან რურუა.** 1964 წ. ტოკიო. XVIII ოლიმპიადა (1942, თბილისი, „კოლმეურნე“) — კლასიკური ჭიდაობა, ქვემსუბუქი წონა.

**შოთა ქველიაშვილი.** 1964 წ. ტოკიო. XVIII ოლიმპიადა (1938, თბილისი, „დინამო“) — ტყვიის სროლა, ნებისმიერი შაშხანა.

**ლევან მოსეშვილი.** 1964 წ. ტოკიო. XVIII ოლიმპიადა (1940, თბილისი, „დინამო“) — კალათბურთი.

**შოთა ლომიძე.** 1968 წ. მეხიკო. XIX ოლიმპიადა (1936, თბილისი „დინამო“) — თავისუფალი ჭიდაობა, ქვემძიმე წონა.

**დიტო შანიძე.** 1968 წ. მეხიკო. XIX ოლიმპიადა (1939, თბილისი, „განთიადი“) — ძალოსნობა, 60 კგ.

**დიტო შანიძე.** 1972 წ. მიუნჰენი. XX ოლიმპიადა (1939, თბილისი, „განთიადი“) — ძალოსნობა, 60 კგ.

**რამაზ ხარშილაძე.** 1976 წ. მონრეალი. XXI ოლიმპიადა (1951, თბილისი, ასკ) — ძიუდო, 93 კგ.

**ვიქტორ სანეევი.** 1980 წ. მოსკოვი. XXII ოლიმპიადა. (1945, თბილისი, „დინამო“) — მძლეოსნობა, სამხტომი.

**საიდა გუნბა.** 1980 წ. მოსკოვი. XXII ოლიმპიადა (1959, თბილისი, „ბურევესტნიკი“) — მძლეოსნობა, შუბის ტყორცნა.

**თემურ ხუბულური.** 1980 წ. მოსკოვი. XXII ოლიმპიადა (1955, თბილისი, ასკ) — ძიუდო. 93 კგ.

**ალექსანდრე ანპილოგოვი.** 1980 წ. მოსკოვი. XXII ოლიმპიადა (1954, თბილისი, „ბერევესტნიკი“) — ხელბურთი.

**ნინო სალუქვაძე.** 1988 წ. სეული. XXIV ოლიმპიადა (1969, თბილისი, ასკ) — ტყვიის სროლა, პპ-2.

**ლერი ხაბელოვი.** 1988 წ. სეული. XXIV ოლიმპიადა (1964, თბილისი, „შრომითი რეზერვები“) — თავისუფალი ჭიდაობა, 100 კგ.

## ბრინჯაოს მედლები

**ნადეჟდა ხნიკინა-დვალიშვილი.** 1952 წ. ჰელსინკი. XV ოლიმპიადა (1933 წ. თბილისი, „დინამო“) — მძლეოსნობა, რბენა 200 მ.

**ნინო დუმბაძე.** 1952 წ. ჰელსინკი. XV ოლიმპიადა (1919 წ. თბილისი, „დინამო“) — მძლეოსნობა, ბადრო.

**ვახტანგ ბალავაძე.** 1956 წ. მელბურნი. XVI ოლიმპიადა (1927 წ. თბილისი, „ბურევესტნიკი“) — თავისუფალი ჭიდაობა, ქვესაშუალო წონა.

**გიორგი სხირტლაძე.** 1956 წ. მელბურნი. XVI ოლიმპიადა (1932 წ. თბილისი, „სპარტაკი“) — თავისუფალი ჭიდაობა, საშუალო წონა.

**რომან ძნელაძე.** 1956 წ. მელბურნი. XVI ოლიმპიადა (1931 წ. თბილისი, „დინამო“) — კლასიკური ჭიდაობა, ქვემსუბუქი წონა.

**ნადეჟდა დვალიშვილი.** 1956 წ. მელბურნი. XVI ოლიმპიადა (1933 წ. თბილისი, „დინამო“) — მძლეოსნობა, სიგრძეზე ხტომა.

**ბორის ნიკიტინი.** 1956 წ. მელბურნი. XVI ოლიმპიადა (1938 წ. თბილისი, „დინამო“) — ცურვა, ესტაფეტა თავისუფალი სტილით 4X200 მ.

**ნოდარ გვახარია.** 1956 წ. მელბურნი. XVI ოლიმპიადა (1932 წ. თბილისი, „დინამო“) — წყალბურთი.

**ვლადიმერ რუზაშვილი.** 1960 წ. რომი. XVII ოლიმპიადა (1940 წ. თბილისი, „ბურევესტნიკი“) — თავისუფალი ჭიდაობა, ქვემსუბუქი წონა.

**გივი კარტოზია.** 1960 წ. რომი. XVII ოლიმპიადა (1929 წ. თბილისი, „ბურევესტნიკი“) — კლასიკური ჭიდაობა, ქვემძიმე წონა.

**გურამ კოსტავა,** 1960 წ. რომი. XVII ოლიმპიადა (1937 წ. თბილისი, ასკ) — ფარიკაობა, დაშნა, გუნდური.

**ნოდარ ხოხაშვილი.** 1964 წ. ტოკიო. XVIII ოლიმპიადა (1940 წ. თბილისი, „კოლმეურნე“) — თავისუფალი ჭიდაობა, ქვემსუბუქი წონა.

**დავით გვანცელაძე.** 1964 წ. ტოკიო. XVIII ოლიმპიადა (1937 წ. თბილისი, „ბურევესტნიკი“) — კლასიკური ჭიდაობა, მსუბუქი წონა.

**ანზორ კიკნაძე.** 1964 წ. ტოკიო. XVIII ოლიმპიადა (1934 წ. თბილისი, „დინამო“) — ძიუდო, მძიმე წონა.

**ფარნაოზ ჩიკვილაძე.** 1964 წ. ტოკიო. XVIII ოლიმპიადა (1941 წ. თბილისი, „ბურევესტნიკი“) — ძიუდო, მძიმე წონა.

**გურამ კოსტავა.** 1964 წ. ტოკიო. XVIII ოლიმპიადა (1937 წ. თბილისი, ასკ) — ფარიკაობა, დაშნა, პირადი.

**ზურაბ საკანდელიძე.** 1968 წ. მეხიკო. XIX ოლიმპიადა (1945 წ. თბილისი, „დინამო“) — კალათბურთი.

**სერგეი კოვალენკო.** 1968 წ. მეხიკო. XIX ოლიმპიადა (1947 წ. თბილისი, „ბურევესტნიკი“) — კალათბურთი.

**ომარ ფხაკაძე.** 1972 წ. მიუნჰენი. XX ოლიმპიადა. (1944 წ. თბილისი, „დინამო“) — ველოსპორტი, სპრინტი.

**გივი ონაშვილი.** 1972 წ. მიუნჰენი. XX ოლიმპიადა (1947 წ. თბილისი, „კოლმეურნე“) — ძიუდო, მძიმე წონა.

**მურთაზ ხურცილავა.** 1972 წ. მიუნჰენი. XX ოლიმპიადა (1943 წ. თბილისი, „დინამო“) — ფეხბურთი.

**რევაზ ძოძუაშვილი.** 1972 წ. მიუნჰენი. XX ოლიმპიადა (1945 წ. თბილისი, „დინამო“) — ფეხბურთი.

**შოთა ჩოჩიშვილი.** 1976 წ. მონრეალი. XXI ოლიმპიადა (1950 წ. გორი, „ბერევესტნიკი“) — ძიუდო, აბსოლუტური კატეგორია.

**მიხეილ ქორქია.** 1976 წ. მონრეალი. XXI ოლიმპიადა (1948 წ. თბილისი „დინამო“) — კალათბურთი.

**ლიანა ცოტაძე.** 1980 წ. მოსკოვი. XXII ოლიმპიადა (1961 წ. თბილისი, „განთიადი“) — წყალში ხტომა, კოშკი.

**ნიკოლოზ დერიუგინი.** 1980 წ. მოსკოვი. XXII ოლიმპიადა (1959 წ. თბილისი, „დინამო“) — კალათბურთი.

**ალექსანდრე ჩივაძე.** 1980 წ. მოსკოვი. XXII ოლიმპიადა (1956 წ. თბილისი, „დინამო“) — ფეხბურთი.

**თენგიზ სულაქველიძე.** 1980 წ. მოსკოვი. XXII ოლიმპიადა (1956 წ. თბილისი, „დინამო“) — ფეხბურთი.

**რევაზ ჩელებაძე,** 1980 წ. მოსკოვი. XXII ოლიმპიადა (1955 წ. თბილისი, „დინამო“) — ფეხბურთი.

**ამირან ტოტიკაშვილი.** 1988 წ. სეული. XXIV ოლიმპიადა (1969 წ. თბილისი, ასკ) — ძიუდო, 60 კგ.

**გიორგი თენაძე.** 1988 წ. სეული. XXIV ოლიმპიადა (1962 წ. თბილისი, ასკ) — ძიუდო, 71 კგ.

**ვახტანგ იაგორაშვილი.** 1988 წ. სეული. XXIV ოლიმპიადა (1964 წ. თბილისი, პროფკავშირები) — თანამედროვე ხუთჭიდი.

**მიხეილ გიორგაძე.** 1988 წ. სეული. XXIV ოლიმპიადა (1961 წ. თბილისი, „დინამო“) — წყალბურთი.

**მაია აზარაშვილი.** 1988 წ. სეული. XXIV ოლიმპიადა (1964 წ. თბილისი, პროფკავშირები) — მძლეოსნობა, ესტაფეტა 4X100 მ.

## ...და მონაწილენი

### 1952 წ. XV ოლიმპიადა. ჰელსინკი

ელენე გოკიელი (მძლეოსნობა).
აკაკი მეიფარიანი (ფარიკაობა).
ავთანდილ ღოღობერიძე (ფეხბურთი).
ავთანდილ ჭკუასელი (ფეხბურთი).
ოთარ დადუნაშვილი (ველოსპორტი).
ვლადიმერ ლავრინენკო (ცურვა).

### 1956 წ. XVI. მელბურნი

რევაზ ცირეკიძე (ფარიკაობა)
იური ოსიპოვი (ფარიკაობა)

### 1960 წ. XVII. რომი

ალექსანდრე შჩერბინა (მძლეოსნობა)
ნუგზარ ასათიანი (ფარიკაობა)
ვახტანგ ბალავაძე (თავისუფალი ჭიდაობა).
რევაზ ქვაჩაკიძე (მძლეოსნობა)
იური დიაჩკოვი (მძლეოსნობა)
ბორის ნიკიტინი (ცურვა)

### 1964 წ. XVIII. ტოკიო

ალექსანდრე ტუტაკაევი (ცურვა)
რობერტ შავლაყაძე (მძლეოსნობა)
როსტომ აბაშიძე (კლასიკური ჭიდაობა)
ბორის პოლულიახი (წყალში ხტომა)
ზარბეგ ბერიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა).
შოთა ლომიძე (თავისუფალი ჭიდაობა).
ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი).

### 1968 წ. XIX. მეხიკო

შოთა ქველიაშვილი (ტყვიის სროლა)
ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი).
ზარბეგ ბერიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა).
ლიუდმილა იწლევა (მძლეოსნობა).
გურამ გუდაშვილი (მძლეოსნობა)
იგორ დელა-როსა (მძლეოსნობა)
ბორის პოლულიახი (წყალში ხტომა)
თინა ლეკვეიშვილი (ცურვა).

### 1972 წ. XX. მიუნჰენი

ქეთევან ლოსაბერიძე (მშვილდოსნობა)
თინა ლეკვეიშვილი (ცურვა).
ჯემალ მეგრელიშვილი (კლასიკური ჭიდაობა).
გურამ გოგოლაური (ძიუდო).
გოგი ნასყიდაშვილი (საბაიდარო სლალომი).

### 1976 წ. XXI. მონრეალი

იგორ ომელჩენკო (ცურვა).
ვლადიმერ იძელიძე (წყალბურთი).
იგორ კუშპელიოვი (ცურვა).
მარლენ პაპავა (ტყვიის სროლა).
ოლეგ ზურაბიანი (ძიუდო):

### 1980 წ. XXII. მოსკოვი

თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა).
დავით კვაჭაძე (კრივი).
ირინა გერასიმოვა (ცურვა).
თამაზ ნამგალაური (ძიუდო).

### 1988 წ. XXIV. სეული

გიორგი ჩოგოვაძე (წყალში ხტომა).
ხრისტინა ფალასინიდი (სინქრონული ცურვა).
ზურაბ გედეხაური (კლასიკური ჭიდაობა).
ლეილა მესხი (ჩოგბურთი).
თამაზ იმნაიშვილი (სასტენდო სროლა).

## „სპორტლოტო“

**კვირას,** 8 ოქტომბერს, მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ 1989 წლის მორიგი, 41-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 2 (ბიატლონი), 3 (ბობსლეი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 25 (საციგაო სპორტი), 44 (ჭადრაკი), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 4 (კრივი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 16 (ცხენოსნობა), 24 (ხელბურთი), 32 (ფიგურული ციგურაობა).

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ ევროპის საფეხბურთო საკლუბო ტურნირების საპასუხო მატჩებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 27 სექტემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 1.072.919 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (64) მოგება 251 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (2.010) — 16 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (19.680) — 5 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 33.045 ვარიანტი. 13-1 (ფოთი), 12-64, 11-578.

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის მე-40 ტირაჟის შედეგები, რომელიც 30.IX–1.X გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.038.360 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (19) მოგება 2.398 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (707) — 128 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (9.389) — 34 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 145.398 ვარიანტი. 13-1 (თბილისი), 12-42, 11-431.

სპეცტირაჟისა და მე-40 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 21 ოქტომბრიდან 21 ნოემბრის ჩათვლით.

* * *

## „სპორტპროგნოზი“

**41-ე ტირაჟის შედეგები**

**(7-8 ოქტომბერი)**

**1-1, 2-1, 3-1, 4-X, 5-X, 6-1, 7-1, 8-1, 9-1, 10-1, 11-X, 12-1, 13-1.**

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## ინფორმაცია

**ფრუნზე.** ბელორუსიის ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა ქვეყნის ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. მან 16484 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გავიდა მოსკოვის გუნდი — 16367, მესამეზე — ყირგიზი სპორტსმენები — 16251.

პირად ჩათვლაში უძლიერესი იყო ბელორუსიელი ა. სმირნოვი — 5792 ქულა.

**პარიზი.** ევროპაში ყველაზე „მდიდარი“ დოღი გაიმართა გუშინ საფრანგეთის დედაქალაქში — სახელგანთქმული შეჯიბრება „ტრიუმფალური თაღის პრიზზე“. გამარჯვებულთათვის 5 მილიონი ფრანკი (ე. ი. 800 ათასი დოლარი) იყო დაწესებული. ფინიშთან პირველი მიიჭრა ცხენი კეროლ ჰაუსი, რომელსაც ირლანდიელი მხედარი მაიკლ კაინეინი მიაქროლებდა. ეს გახლდათ რიგით 68-ე შეჯიბრება „ტრიუმფალური თაღის პრიზზე“.

**ვენეცია.** მარათონელთა მეტად ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ვენეციის ცნობილ გარბენში. ფინიშთან პირველი მიიჭრა იტალიელი მარკო მილანი, რომელმაც 2:16.08 აჩვენა.

**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ კათედრებზე:**

**ენების კათედრაზე**
უფრ. მასწავლებლის ერთი ერთეული — ქართული ენის სპეციალობით.

**ანატომიის კათედრაზე**
მასწავლებლის 0,5 განაკვეთი — მეცნ. კანდიდატი.

**ფ/კ ორგანიზაციისა და მართვის კათედრაზე.**
დოცენტის ერთი ერთეული.
უფრ. მასწავლებელი, ერთი ერთეული (ფ/კ ისტორიის სპეციალობით).

**მრავალჭიდის კათედრაზე**
უფრ. მასწავლებელი, ერთი ერთეული — ფარიკაობის სპეციალობით.
მასწავლებლის ერთი ერთეული — ტყვიის სროლის სპეციალობით.

**ფეხბურთის, ხელბურთის და ჩოგბურთის კათედრაზე**
კათედრის გამგის ერთი ერთეული — დოცენტი.

**ფსიქოლოგია-პედაგოგიკის კათედრაზე**
დოცენტის ერთი ერთეული — პედ. მეც. კანდიდატი პედაგოგიკის სპეციალობით.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში.

ტელეფონი: 23-09-02.
მისამართი: თბილისი ი. ჭავჭავაძის პრ. 49.

რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.

...ენი მისამართი:
...ბისთვის — 380096,
... ლენინის ქ. 14,
...ისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-28, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10519